თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის
სხდომის ოქმი №4

თბილისი, 25 აგვისტო, 2020

სხდომა დაიწყო 11:04 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ სარჯველაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი ალექსანდრე დარახველიძე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის გამოძიების ხარისხის მონიტორინგის რეგიონული სამმართველოს უფროსი გოგა რაზმაძე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი ირაკლი ქოიავა;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი ციცაგი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი დავით მეტრეველი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული სამსახურის უფროსი ბექა ზეგარდელი;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი ლევან ჯღარკავა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ანა ჩაჩხიანი – ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) დროებით მოვალეობის შემსრულებელი;
- ნათია თევზაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი გიორგი კალანდარიშვილი.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა მიხეილ სარჯველაძემ, სხდომა გახსნა 11:04 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის მიმდინარეობისას მან დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. ბატონმა მიხეილმა კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მისალმება;

2. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის ზოგადი მიმოხილვა;
3. რეკომენდაცია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის;
4. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის წევრების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა;
5. სხვადასხვა.

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე შეეხო ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ქცევის მარეგულირებელი წესების თაობაზე ბრძანებების გამოცემასთან დაკავშირებით, რაც წინა სხდომაზეც იქნა განხილული. ამასთან, აღნიშნა, რომ კომისიის სამდივნოს მიერ მოძიებულ იქნა ინფორმაცია სხვადასხვა უწყებიდან აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. ბატონი მიხეილის თქმით, საინტერესოა ამ მხრივ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობა, რაზეც ინფორმირებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ინფორმაციას მოაწვდის კომისიის სამდივნოსა და წევრებს. თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა არჩევნებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხის დარეგულირების საჭიროებას მუნიციპალიტეტების მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება სცილდებოდეს კომისიის კომპეტენციას, კომისია მაინც ყურადღებით მიადევნებს თვალს ამ პროცესს.

ბატონმა მიხეილმა სხდომის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო უწყებების უმრავლესობაში არის სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეეხება საარჩევნო პერიოდში გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას უწყებებში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა მიერ. ამასთან, მისი თქმით, შესაბამისი უწყების მიერ გამოცემული ხსნებული აქტები ამ დრომდე მოქმედია და მათი მოქმედების ვადა არ შემოფარგლულა რომელიმე კონკრეტული არჩევნებით.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, მითითებული აქტები გაანალიზდა მათი განახლების საჭიროების თვალსაზრისით, რათა შესაბამისობაში იყოს საარჩევნო კანონმდებლობასთან. ამასთან, მისი თქმით, ხსენებული საკითხი საყურადღებოა და მიზანშეწონილია, ყველა უწყებამ უზრუნველყოს კიდევ ერთხელ შემახსენებელი ტექსტის გავრცელება თავიანთ უწყებებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისთვის, რათა თავიდან იქნეს არიდებული საარჩევნო

კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა. ბატონმა მიხეილმა კომისიის წევრებს მოუწოდა, კიდევ ერთხელ შეისწავლონ, ხომ არ საჭიროებს განახლებას მათ უწყებებში დასაქმებული თანამშრომლებისთვის მისაწოდებელი სამართლებრივი აქტები. მისი თქმით, სასურველი იქნება, მიმდინარე კვირას ყველა უწყებას ჰქონდეს ის რეგულაციები, რომლებიც დაარეგულირებს უწყებების საქმიანობასა და დასაქმებული მოხელეების საქმიანობის ქცევის წესს წინასაარჩევნო პერიოდში.

შემდეგ ბატონმა მიხეილმა კომისიის წევრებს გააცნო რეკომენდაციის ტექსტი. კომისიის წევრებმა რეკომენდაციის მიღებას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

რეკომენდაცია:

1. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებს:

გაითვალისწინონ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვის ერთიანი სტანდარტის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენების აკრძალვას.

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთა დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების (მათ შორის, ელფოსტა), საინფორმაციო მომსახურებისა (მათ შორის, ოფიციალური ვებგვერდი ან/და ბიუჯეტის სახსრებით ადმინისტრირებული სოციალური მედია) და სხვადასხვა სახის ტექნიკის (მათ შორის, ზემოხსენებული საკომუნიკაციო საშუალებებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენების გზით პირად სოციალურ ქსელებში წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ნიშნების შემცველი ინფორმაციის განთავსება) გამოყენება იკრძალება, გარდა პოლიტიკური პარტიებისა. აღნიშნული ქმედება ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად.

აღნიშნული მიზნებისათვის ორგანიზაციებად, რომელთა დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განიხილებიან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები; ორგანიზაციები, რომელთა დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან; საჯარო და კერძო სამართლის ის იურიდიული პირები, რომლებშიც სახელმწიფოს წილი შეადგენს 20%-ს ან მეტს.

2. **ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს:**

მათ სტრუქტურებში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებს კიდევ ერთხელ შეახსენონ უკვე გამოცემული განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ რისი უფლება აქვთ და რა ეკრძალებათ მათ წინასაარჩევნო პერიოდში არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე/გამოქვეყნებამდე, რა სანქციებია დაწესებული კანონის მოთხოვნების დარღვევებზე და როგორ არის დაცული მათი არჩევანის თავისუფლება და ფარულობა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეთხოვოს მუნიციპალიტეტებისათვის ინფორმაციის კიდევ ერთხელ მიწოდება და მათთან განმარტებითი სამუშაოს წარმოება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით.

რეკომენდაციის მიღების შემდგომ კომისიის თავმჯდომარემ ზოგადად მიმოიხილა მედიამონიტორინგის შედეგად მოწოდებული ინფორმაცია. ბატონმა მიხეილმა აღნიშნა, რომ გამოიკვეთა რიგი საკითხებისა, რომლებიც საყურადღებოა და კომპეტენციის მიხედვით შესაბამისი უწყებებიდანაც მოჰყვა რეაგირება.

თავმჯდომარის თქმით, ორი კვირის განმავლობაში მედიამონიტორინგის დროს მიღებული ინფორმაცია თითქმის ანალოგიურია წინა სხდომაზე განხილული ინფორმაციისა. ძირითადად, ჟურნალისტების, პოლიტიკოსებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ ყურადღება ეთმობა საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტიების ფორმირებებსა და წარმომადგენლების დასახელებას.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრების ინფორმირების მხრივ აღნიშნა, რომ სამდივნოში შემოსული ნებისმიერი სახის ინფორმაცია აღირიცხება დეტალურად

შესაბამის რეაგირების ცხრილში, არჩევნების დასრულების შემდეგ კი, ანგარიშის სახით სრულად წარედგინება საზოგადოებას.

მედიამონიტორინგის დროს მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ გიორგი კალანდარიშვილს.

ბატონი გიორგი მიესალმა კომისიის წევრებს და აღნიშნა, რომ საკითხები, რომლებიც გადმოგზავნილი იყო ცესკო-ში, შეეხებოდა ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტებს. ამასთან, მისი განმარტებით, ამომრჩეველთა შესაძლო მოსყიდვის ფაქტებზე შესაბამისი კვალიფიკაციის მიცემა შესაძლებელია მხოლოდ საარჩევნო პერიოდში ისიც – აღნიშნული ფაქტის დადასტურების შემთხვევაში. მაგრამ ამ ფაქტებს არ ადასტურებს ცენტრალური საარჩევნო კომისია – ცესკო არის ერთ-ერთი იმ პირთა წრის ნაწილი, რომელსაც უფლება აქვს, ფაქტის შემთხვევაში, მიმართოს სასამართლოს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბატონი გიორგის თქმით, შესაბამისი პირების მიერ საჯარო მომართვებისას აქცენტები კეთდებოდა არასწორად, რასაც, ასევე, ეცნობოდა ცესკო და აწარმოებდა მედიამონიტორინგს. ამასთან, როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, ცესკო არ არის ის ორგანო, რომელიც ახდენს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული მოსყიდვის ფაქტების დადასტურებას, რადგან საარჩევნო კანონმდებლობაში პირდაპირაა მითითებული სასამართლოზე, რომ მოსყიდვის ფაქტის შემთხვევაში ამ სუბიექტს უუქმდება საარჩევნო რეგისტრაცია. შესაბამისად, ცესკო-ს ამ კუთხით არანაირი რეაგირება არ განუხორციელებია, რადგან საარჩევნო პერიოდი ჯერ არ არის და, საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, არჩევნების დანიშვნის დღიდან დასრულებამდე არის აკრძალული ამომრჩევლის მოსყიდვა.

თავმჯდომარემ მიმართა ბატონ გიორგის – ხომ არ გამოკვეთილა რაიმე საკითხი ბოლოდროინდელი ცვლილებებიდან გამომდინარე, რაც უწყებებმა უნდა გაითვალისწინონ და საგანგებოდ ყურადღება დაუთმონ, როგორც დამატებით შესასრულებელი ვალდებულება.

ბატონი გიორგის თქმით, საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების შემდეგ გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომლებზეც გავრცელდა გარკვეული სახის შეზღუდვები სამუშაო საათებში სააგიტაციო საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამასთან, ცესკო გაეცნო კომისიის სამდივნოს მიერ მიწოდებული რეკომენდაციის ტექსტის ნიმუშს და კომისიის წევრებს მიმართა, რომ უკეთესი იქნებოდა, რეკომენდაციის ტექსტში გამოიკვეთოს პედაგოგების, სსიპ-ების თანამშრომლების (გარდა რელიგიური ორგანიზაციების, ადვოკატთა ასოციაციის,

უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებო დაწესებულებების) და მუნიციპალიტეტების მიერ წილობრივად შექმნილი ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საკითხი, რადგან, ბატონი გიორგის თქმით, ეს არის მათთვის სიახლე და არ არიან სრულფასოვნად ინფორმირებულნი. ამასთან, როგორც მან აღნიშნა, რეკომენდაციის ამ ფორმით მიწოდება ხელს შეუწყობს ხსენებულ უწყებებში დასაქმებული პირების მეტად ინფორმირებას. დამატებით ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუ რეკომენდაციის ტექსტში ხაზგასმით აღინიშნება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სხვადასხვა სახის ტექნიკით სარგებლობის თაობაზე, რაც, ასევე, ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად.

როგორც ბატონმა გიორგიმ განაცხადა, არჩევნების დღის დანიშვნის შემდეგ ცესკო-ს წარმომადგენლები გეგმავენ ყველა მუნიციპალიტეტთან შეხვედრას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე, ცესკო-ს დაგეგმილი აქვს ყველა სამინისტროსა და აღმასრულებელი ორგანოს იურიდიულ სამსახურებთან შესაბამისი შეხვედრები და მაქსიმალურად ინფორმაციის მიწოდება.

ცესკო-ს წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ, ზოგადად, დადებითად შეაფასა საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს არჩევნების პერიოდში უწყებების მიერ საკუთარი თანამშრომლების გაფრთხილებას და ინფორმირებას იმ ქმედებების შესახებ, რაც შეიძლება ჩაითვალოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევად. მისი თქმით, აუცილებელია ამ ტრადიციის შენარჩუნება, რადგან ეს უზრუნველყოფს სამართალდარღვევების თავიდან არიდებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორმა, ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ, სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს მიერ გადაგზავნილ ინფორმაციაზე რეაგირების მხრივ გარკვეული სირთულეები ექმნებათ, რადგან ინციდენტების ავტორებთან ურთიერთობის დამყარების მცდელობისას ეს უკანასკნელნი ხშირ შემთხვევებში უარს აცხადებენ გამოკითხვაზე მისვლაზე.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა, ბატონმა დავით მეტრეველმა, განაცხადა, რომ რეკომენდაციების მხრივ მუნიციპალიტეტებში უკვე ყველა გაფრთხილებულია. მისი თქმით, მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს სააგიტაციო მასალების განთავსებისა და აგიტაციის ჩატარებისთვის განკუთვნილი შენობებისა და ადგილების განსაზღვრასთან დაკავშირებული სამუშაოებიც.

ბატონმა მიხეილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს თხოვნით მიმართა, ყურადღება მიექცეს რეკომენდაციების ხარისხობრივ იმპლემენტაციას მუნიციპალიტეტების მიერ. ყველა მუნიციპალიტეტს მიეთითოს, რომ, წინა არჩევნებისგან განსხვავებით, გაცილებით გაფართოვდა იმ უწყებებისა და ორგანიზაციების წრე, რომლებზეც ვრცელდება ზემოაღნიშნული შეზღუდვები. ამასთან, თავმჯდომარემ ბატონ დავითს სთხოვა, უახლოეს მომავალში კომისიას მათი მხრიდან მიეწოდოს ინფორმაცია იმ მუნიციპალიტეტების შესახებ, სადაც გამოცემულია და გამოიცემა შესაბამისი აქტები და ამით უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ყველა მუნიციპალიტეტი აკმაყოფილებდეს სამართლებრივი აქტების შესაბამის სტანდარტს.

სხდომის ბოლოს ბატონი მიხეილი შეეხო კომისიის მიერ საინფორმაციო კამპანიის წარმოების თემასაც. მისი განხცხადებით, უწყებათაშორისი კომისია ყოველთვის მზად იქნება, აწარმოოს საინფორმაციო კამპანია იმ მიმართულებით, რომლის საჭიროებაც შესაძლოა, მომავალში გამოიკვეთოს.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის.

სხდომა დასრულდა 11:32 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის სამდივნო: